უწმიდესი პატრიარქის კირილეს თავმჯდომარეობით წმინდა სინოდის 2023 წლის პირველი სხდომა გაიმართა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 03.16.2023. 16 მარტს, მოსკოვის დანილოვის მონასტერში, საპატრიარქო და სინოდალურ რეზიდენციაში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს თავმჯდომარეობით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა დაიწყო.

შეხვედრის გახსნისას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა წმინდა სინოდის წევრებს შესავალი სიტყვით მიმართა:

„გულითადად მივესალმები წმინდა სინოდის ყველა წევრს.

თქვენთან ერთად შევიკრიბეთ მორიგ სხდომაზე და მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის წმინდა სინოდის რიგით მე-80 სხდომა საპატრიარქო ტახტზე ჩემი არჩევის შემდეგ. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის თუ საიუბილეო არა, მრგვალი თარიღი მაინც.

მე ახლახან მქონდა შესაძლებლობა, ტელევიზიით გამოვსულიყავი და გამომეთქვა ჩემი ღრმა შეშფოთება იმის შესახებ, რაც კიევში ხდება. კიევის ხელისუფლება, რომელიც აცხადებს თავის ერთგულებას განვითარების ევროპული გზისადმი და, მაშასადამე, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას, უხეშად არღვევს ამ უფლებებსა და თავისუფლებებს და პრაქტიკულად აძევებს სამონასტრო თემს კიევ-პეჩერის ლავრიდან. რა არის ეს, თუ არა თვით ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპის აბუჩად აგდება? შეიძლება განა დაუჯერო რეჟიმს, რომელიც აცხადებს, რომ იცავს განვითარების დემოკრატიულ გზას, და აქვე უხეშად არღვევს უფლებებსა და თავისუფლებებს ისე, როგორც საბჭოთა დროშიც კი ასე ყოველთვის არ ირღვეოდა? ეს ნიშნავს, რომ ამ ორაზროვნებაში ვლინდება რაღაც ღრმა შიდა კონფლიქტი უკრაინული საზოგადოებისა, რაღაც ონტოლოგიური უსამართლობა.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ, რომ უფალმა მისცეს ძალები ჩვენს ძმებსა და დებს უკრაინაში, რომ გაუძლონ მორიგ დევნას – ამას სხვას ვერაფერს უწოდებ. ჩვენ ყველანი მათთან ერთად უნდა ვიყოთ ლოცვაში. ჩვენ ყველამ უნდა ვიმუშაოთ, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ყველა ჩვენს პარტნიორთან ერთად, რათა მივაპყროთ ყურადღება ევროპის ცენტრში ამ ამაზრზენ უმსგავსოებას. კარგი არაფერი გამოვა აქედან! მთელი საბჭოთა კავშირი თავისი ათეისტური ძალით, ანტირელიგიურ საქმიანობაზე ორიენტირებული, ცდილობდა მართლმადიდებლური სარწმუნოების მოსპობას, მონასტრების დახურვას. ჩვენ ვიცით, როგორ დასრულდა ეს – გაქრა ათეისტური ძალა, ეკლესია კი, როგორც იყო, ისევ ისეა. რატომ? იმიტომ რომ ***ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერევიან მას*** (მთ. 16:18). დროდადრო უფალი ჩვენზე განსაცდელებს უშვებს, შესაძლოა იმიტომ, რომ განვმტკიცდეთ რწმენაში, ღვთის სასოებაში, რათა ჩვენი ლოცვა გაძლიერდეს და ჩვენი მიდგომა ამ პრობლემებისადმი, რომლებიც დღეს ჩვენს სამწყსოს არელვებს, მწყემსურად მგრძნობიარე გახდეს.

კვლავ და კვლავ ყველას მოგიწოდებთ, ილოცოთ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, ჩვენი ძმებისა და დებისთვის, და ვთხოვოთ უფალს, რომ მან თავისი ძალით, თავისი მადლით გააძლიეროს ჩვენი ტანჯული ძმები აღმსარებლობით გზაზე“.

შემდეგ წმინდა სინოდის წევრები შეუდგნენ მუშაობას დღის წესრიგის მიხედვით. სხდომის დასრულების შემდეგ გამოქვეყნდება სინოდის ჟურნალები.

წმინდა სინოდის მუდმივი წევრები არიან: კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი ონოფრე; კიშინიოვისა და სრულიად მოლდოვის მიტროპოლიტი ვლადიმერი; ასტანისა და ყაზახეთის მიტროპოლიტი ალექსანდრე, ყაზახეთის რესპუბლიკაში სამიტროპოლიტო ოლქის მეთაური; ტაშკენტისა და უზბეკეთის მიტროპოლიტი ბიკენტი, ცენტრალური აზიის სამიტროპოლიტო ოლქის მეთაური; სანკტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი ბარსონოფი; კრუტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტი პავლე, მოსკოვის სამიტროპოლიტოს პატრიარქის ადგილმონაცვლე; მინსკისა და ზასლავის

მიტროპოლიტი ბენიამინი, სრულიად ბელარუსის საპატრიარქო ეგზარქოსი; ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი, საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე; ვოსკრესენსკის მიტროპოლიტი დიონისე, მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი.

წმინდა სინოდის დროებითი წევრები არიან: ტვერისა და კაშინის მიტროპოლიტი ამბროსი; ფსკოვისა და პორხოვის მიტროპოლიტი ტიხონი; კლინის მიტროპოლიტი ლეონიდე, აფრიკის საპატრიარქო ეგზარქოსი; პეტროპავლოვსკისა და კამჩატკის მთავარეპისკოპოსი თეოდორე; კალაჩინისა და მურომცევის ეპისკოპოსი პეტრე.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90124/